სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2026 წლის 19 მარტის №62/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 27 აპრილის № 29/2026 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

N 3 ოქმი

ქ. თბილისი თსუ-ის მე-3 კორპუსი, აუდიტორია 110 2 ივნისი 2026 წელი

14:30 – 15:15 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის უკლებლივ ყველა წევრი:

1. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ეფემია ხარაძე (კომისიის მდივანი);
4. სტუ-ის მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი მაგდა მეცხვარიშვილი

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2026 წლის 19 მარტის №62/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის თსუ-ის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებულ პროფესორ ზაქარია ქიტიაშვილისა და კომისიის წევრების ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგების შეფასება.

შეფასების პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბ-ნმა დავითმა II და IV კატეგორიაში დაიმსახურა შეფასება „მაღალი" , ხოლო III კატეგორიის მიხედვით - „საშუალო". კომისიის შეფასებით, კონკუტსანტს ვაკანსიის პროფილით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება უდასტურდება. ჩართულია საკონკურსო პროფილის კურსების განხორციელებაში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში. კომისიის წინაშე განსახილველად წარდგენილი სილაბუსები შინაარსითა თუ ფორმით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით აღსანიშნავია, რომ მისი პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებსა თუ საკონფერენციო მასალებში. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები თანხვდება განათლების დარგში აქტუალურ სამეცნიერო ტენდენციებს. გასაუბრების ეტაპზე კომისიის მიერ შეფასდა ბ-ნი დავითის პროფესიული უნარ-ჩვევები, აკადემიური მსჯელობისა და ეთიკის კულტურა. მას გააზრებული აქვს საკუთარი როლი განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების თვალსაზრისით და შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს განათლების დარგს.

ამდენად, კომისია თვლის, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კომისიის ხელთ არსებული დოკუმენტაციისა და ოქმების გულდასმით გაცნობის, შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე. აღნიშნული კენჭისყრა ჩატარდა ყველა პროცედურული წესის დაცვით - მომზადდა და დარიგდა 4 ბიულეტენი, ბიულეტენის ჩასაყრელი ყუთი, რომელიც დაილუქა. კომისიის წევრებს სხდომის ოთახში ჰქონდათ საშუალება გამოყოფილ კუთხეში გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი და ბიულეტენი მოეთავსებინათ ყუთში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის წევრების მიერ გაიხსნა დალუქული ყუთი.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის მასწავლებლის განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ-პროფესორის („ბ“ კატეგორია) თანამდებობაზე დავით წამალაშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 4, წინააღმდეგი - 0.

<u>**გადაწყვეტილების დასაბუთება:**</u>

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დადებითი გადაწყვეტილება ეფუძნება ბ-ნი დავითის მიერ გამოვლენილ პროფესიონალიზმს, მისი განათლება და კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება ასისტენტ-პროფესორის თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. კონკურსანტის გამოცდილება, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრული ჩართულობა, პროფესიული უნარ-ჩვევები, თვლადი აკადემიური მონაცემები და მიღწევები სრულად შეესაბამება ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. შემოთავაზებული სალექციო კურსები შესაძლებლობას იძლევა მისი, როგორც კვალიფიციური სპეციალისტის, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წამყვან აკადემიურ პერსონალად მოაზრებისა. ბ-ნ დავითს აქვს ზოგადი და კერძო დიდაქტიკების მიმართულებით საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესების კვლევის დიდი პრაქტიკული გამოცდილება, რაც განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-განვითარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

დაადგინეს:

- ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის მასწავლებლის განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ-პროფესორის („ბ“ კატეგორია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა წამალაშვილი დავითი.
- შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი №3 გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი

/ ზ. ქიტიაშვილი /

თავმჯდომარის მოადგილე: თსუ-ის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

/ ქ. ჭკუასელი /

წევრები:

სტუ-ის მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი მაგდა მეცხვარიშვილი

/ მ. მეცხვარიშვილი /

კომისიის მდივანი: თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი ეფემია ხარაძე

/ ე. ხარაძე /

2 ივნისი 2026 წელი